KA030174995125118

№ 01-8132 **13 / აპრილი / 2018 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ ზაზა სოფრომაძეს

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსის, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებლის მარიანა მკურნალის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ზაზა,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 14-19 აპრილს ჩეხეთის რესპუბლიკაში ქ. პრაღაში ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მიერ დაგეგმილია სასწავლო ვიზიტი თემაზე: „ქიმიური ნივთიერებების მართვის შესაძლებლობების გაზრდა ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებისათვის“.

სემინარში მონაწილეობის მიზნით მიწვეულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - მარინა ლაცაბიძე.

ვიზიტში მონაწილეობის ხარჯები (მგზავრობა, კვება, სასტუმრო, დღიური ნორმა) ანაზღაურდება მიმწვევი მხარის მიერ.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი მარინა ლაცაბიძისათვის მიმდინარე წლის 13 აპრილიდან 20 აპრილის ჩათვლით.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

მარიანა მკურნალი